მოწყალება (სადაყა) არაფრით ამცირებს სიმდიდრეს. ალლაჰი თავის მონას, რომელიც პატიობს სხვებს, არაფერს უმატებს, გარდა დიდებისა, და ვინც ალლაჰისთვის თავმდაბლობას გამოიჩენს, ალლაჰი მას აუცილებლად აამაღლებს

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მოწყალება (სადაყა) არაფრით ამცირებს სიმდიდრეს. ალლაჰი თავის მონას, რომელიც პატიობს სხვებს, არაფერს უმატებს, გარდა დიდებისა, და ვინც ალლაჰისთვის თავმდაბლობას გამოიჩენს, ალლაჰი მას აუცილებლად აამაღლებს».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) განმარტავს, რომ მოწყალება არ ამცირებს ქონებას, არამედ ხდება მიზეზი იმისა, რომ იცავს ადამიანს გასაჭირისა და უბედურებებისგან. ალლაჰი გულუხვად აჯილდოებს მას, ვინც გასცემს მოწყალებას დიდი სიკეთით. ამგვარად, სადაყა არ არის დანაკარგი, არამედ ის არის სიმდიდრის ზრდა. რაც უფრო მეტად პატიობს ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ აქვს შურისძიების ან სასჯელის შესაძლებლობა, ეს (პატიება) მით უფრო მეტად უმატებს მას ძალასა და დიდებას. ალლაჰი, როგორც საზღაურად, აუცილებლად აამაღებს და პატივს მიაგებს მას, ვინც გამოიჩენს თავმდაბლობას და მორჩილებას ალლაჰის გულისთვის, და არა შიშის, მლიქვნელობის ან ვინმესგან სარგებლის მიღების მიზეზით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5512

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee